# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ დღიური გაზეთი გამოდის კვირა-უქმეების შემდეგაც.— ოთხშაბათი, 2 თებერვალი 1900 წ. № 1033.

**გაზეთი ღირს:** წლიწადში—6 მანეთი, თვეში—75 კაპიკი, ცალკე ნომერი 3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის„ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში (ვანქის ქუჩა, № 27). წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიაში და ქართველთა წიგ. გამომც. ამხ. კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, სახლი, № 27, მარტიროზოვისა.—ხელთაუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1 საათამდე (შუა დღით).

**ტელეფონი № 372** — ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ Пурцели“—„Моамбе“



შემდეგი ნომერი „ცნობის ფურცლისა“ გამოვა 4 თებერვალს

## „მოამბე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

| (წელიწადი მეშვიდე) | (წელიწადი მეხუთე) |
|---|---|
| **გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში** | **გამოვა ყოველ დღე კვირა-უქმეების შემდეგაც** |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| 1 წლ. 6 თვ. 3 თვ. | 1 წლით 1 თვით |
| რუსეთისა და კავკასიის ქალაქებში . . . 10 მ. 6 მ. 4 მ. | რუსეთის და კავკასიის ქალაქებში . . . 6 მან. 75 კაპ. |
| საზღვარ გარეთის ქალაქებში . . . . . 13 მ. 7 მ. 5 მ, | საზღვარ გარეთის ქალაქებში . . . . . 7 მან, 90 კაპ. |

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

| | |
|---|---|
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

**ვინც „მოამბე“-ს ერთის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

| | |
|---|---|
| **ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება სხვათა შორის მიმოხილვა.** | **გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბები) და სხვ.** |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კაპ. მეოთხეზე—5 კაპ.

თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели„.

1-ლ თებერვლიდან წლის დამლევამდე

**„ცნობის ფურცელი“ ღირს 5 მ. 50 კ.**

ფასის განაწილება: პირველად—3 მ. და 1-ლ აპრილამდე 2—მ. 50 კ.

1-ლ თებერვლიდან წლის დამლევამდე

**„ცნობის ფურცელი“ და „მოამბე“ (იანვრის წიგნიანად) ერთად ეღირება 9 მ. 50 კ.**

ამ ფულის განაწილება შეიძლება ასე: პირველად—4 მან., 1-ლ აპრილამდე—3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე—2 მ. 50 კ.

## ქართული თეატრი

**ხუთშაბათს, 3 თებერვალს,**

ბენეფისი **ს. პ. სვიმონიძისა**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან

ბ-ნი **ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

# ყაჩაღები

**დრამა 5 მოქმ., თხზულება შილლერისა. თარგმ. ავალიშვილისა**

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.—დასაწყისი 8 საათზე.**

რეჟისორნი: **ვ. აბაშიძე და ქ. მესხი.**


## მთავრობის განკარგულებანი

### უმაღლესი ბრძანება სამხედრო უწყებას.

ხელმწიფე იმპერატორმა, თანახმად უქვეშევრდომილესი მოხსენების შინაგან საქმეთა მინისტრისა, 25 ნოემბერს 1899 წელს, უმაღლესად გამოიღო ინება ებოძოს ასტრახანის გუბერნიის ქალაქ ცარევის საპატიო მოქალაქეთა წოდება მის უმაღლესობას პრინცს ალექსანდრე პეტრეს ძეს ოლდენბურგსკის და პოლკოვნიკს თავად ორბელიანს, თანახმად ქალაქ ცარევის რწმუნებულთა კრების დადგენილებისა და აღსანიშნელად იმ გულწრფელ მადლობისა, რომელსაც ქალაქის მცხოვრებნი უცხადებენ მის უმაღლესობას ცარევში შავი ჭირის მოსასპობლად ზომების მიღებისათვის და თავად ორბელიანს ამ ზომების სისრულეში მოყვანისათვის.

### უმაღლესი ბრძანება სამოქალაქო უწყებას.

კავკასიის სამხედრო სასამართლოს მდივნის თანაშემწეს ტიტულიარნი სოვეტნიკს ელიოზიშვილს ებოძა კოლეჟსკი ასესორობა.

აქციზის მმართველობის ზედამხედველის უფროსს თანაშემწეს ტიტულიარნი სოვეტნიკს ბაქრაძეს ებოძა კოლეჟსკი ასესორობა.

იმავე მმართველობის უფროს კონტროლერს გუბერნსკი სეკრეტარს კონტრიძეს ებოძა კოლეჟსკი სეკრეტრობა.

იმავე მმართველობის ზედამხედველის უფროსს თანაშემწეს კოლეჟსკი რეგისტრატორს ქიქოძეს ებოძა გუბერნსკი სეკრეტრობა.

## ახალი ამბავი

✦ „კავკაზ“-ს ატყობინებენ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა დეპეშით აცნობა კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელს გენ.-ლეიტენანტს ა. ა. ფრეზეს, რომ ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა, მიიწვიონ სახელმწიფო საბჭოს სხდომებზე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკი და ადგილობრივი მემამულე გაბრიელ საყვარელიძე (სამიწადმოქმედო მინისტრის კავკასიის რწმუნებულის იურის-კონსულტი), რათა მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო საბჭოს თათბირში ხიზანთა კანონმდებლობის შეცვლის შესახებ.

✦ კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენ.-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე დაინიშნა ამიერ კავკასიის სასტატისტიკო კომიტეტის თავმჯდომარედ.

✦ საქართველოს ეგზარხოსმა ფლაბიანემ დაავალა ყოვლად უსამღვდელოესს კირიონს თვალ-ყური ადევნოს საღმრთო წერილის სწავლებასა ტფილისის ყველა სასწავლებლებში.

✦ ქ. გორის რწმუნებულთა კრებას 21 იანვრის სხდომაზე გარდაუწყვეტია იშუამდგომლოს კავკასიის უმაღლესს მმართველობის წინაშე იმის შესახებ, რომ გაკეთებულ იქმნას ქ. გორში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ქვის კედელი, რათა ამით დაცულ იქმნას ქალაქი წალეკისაგან ადიდებულ მტკვრის მიერ.

✦ 23 იანვარს ბათუმიდან გავიდა საფრანგეთის გემი „პეიხო“, დატვირთული სხვა-და-სხვა საგნებით და საქონლით, რომელიც კავკასიიდან იგზავნება პარიზის მომავალ გამოფენისთვის. სულ ამ გემით გაიგზავნა 600 ფუთამდე ექსპონატები კავკასიის მრეწველობის ნაწარმოებისა; სხვათა შორის, შესანიშნავი ხალიჩების კოლლექცია. სულ გაიგზავნა 47 სხვა-და-სხვა გვარი ხალიჩა; მათ შორის მშვენიერი ხალიჩა თავად ბაგრატიონ-მუხრანსკისა, სიგრძით $8\frac{3}{4}$ არშინი და სიგანით $7\frac{1}{4}$ არშინი, ღირებული 2000 მანეთად. სულ გაგზავნილ ხალიჩების ფასია 8147 მ. შემდეგ ყურადღებას იქცევს ვერცხლის ნივთების კოლლექცია, ღირებული 7427 მანეთად. შემდეგ—მშვენიერი ნიმუშები აბრეშუმისა, მატყლისა და სხვა-და-სხვა სამეურნეო ნაწარმოებისა.

✦ თელავის მაზრის უფროსს უცნობებია კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისათვის—უკანვე მიიღეთ საზოგადოების მიერ გამოგზავნილი წამლები და იარაღები ვენახის

**წამლობისათვის**, რადგანაც ეს წამლები და იარაღები ვერ გამოდგენო.

✦ ხუთშაბათს, 3 თებერვალს, დაიწყება ისევ ლექციების კითხვა **შუშკინის კურსებზე**, რომელნიც შეწყვეტილნი იყვნენ ქუნთრუშის გაჩენის გამო ვაჟთა პირველ გიმნაზიაში, სადაც მოთავსებულია კურსები.

✦ ხვალ ქართულ დრამატიული საზოგადოების დასი გამართავს წარმოდგენას ბ-ნი **სვიმონიშის სასარგებლოდ**. წარმოდგენილი იქმნება შილლერის ცნობილი დრამა „ავზაკები“, რომელშიაც უმთავრესს როლებს ითამაშებენ ბ-ნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი და მობენეფისე.

✦ ამას წინედ ჩვენ მოხსენებული გვქონდა, რომ ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოებას კავკასიაში განზრახვა აქვსო კავკავში არსებული ოსების ქალთა **თავშესაფარი და სასწავლებელი** ამიერ კავკასიაში იქმნას გადმოტანილიო, სახელდობრ, გორის მაზრაში. ამ ჟამად ხსენებულ საზოგადოებას ამ თავის განზრახვისათვის თავი დიუნებებია.

✦ როსტოვში დაარსებულია მდიდარი ამხანაგობა, რომელსაც საგნად დაუსახავს მოსძებნოს კავკასიაში ყოველ ნაირი მადნები და შეუდგეს მინერალურ სიმდიდრის გაზიდვას საზღვარ გარეთ.

✦ რადგანაც ამიერ კავკასიის რკინის გზა შეუერთდა რუსეთის შიდა გუბერნიების რკინის გზებს ბალაჯარ პეტროვსკის შტოთი, სათანადო მთავრობას გარდაუწყვეტია შესცვალოს **ტარიფები ჩვენის გზისა**.

✦ სახელმწიფო საბჭოს წარედგინა ფინანსთა სამინისტროს პროექტი **ნავთის გადაზიდვის** ახალის წეს-რიგისა.

✦ კავკასიის მუზეუმის დირექტორი ბ-ნი რადე, რომელიც დაინიშნა პარიზის გამოფენაზე კავკასიის განყოფილების გამგეთ, მიდის ხვალ პარიზში.

✦ სათანადო მთავრობას კვლავ აღუძრავს კითხვა იმის შესახებ, რომ **ხორბლის მაგიერ** სასოფლო საზოგადოებებმა ფული შეინახონ შავი დღისთვის.

✦ 18 თებერვალს, ტფილისის კრუჟოკის“ დარბაზში გაიმართება **ბალი ტფილისის საქველმოქმედო საზოგადოების საშუალებათა გამდიდრებისათვის**. ბალის დიასახლისად იქმნება ხსენებული საზოგადოების თავმჯდომარე კნ. ა. ა. ამილახვრისა.

✦ 31 იანვარს, სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე აზნაურის კირილე გიგინეიშვილისა, რომელსაც ჰბრალდებოდა თავ. ივანე მელიქიშვილის მოკვლა. ეს მკვლელობა, როგორც მკითხველებს უთუოდ ახსოვთ, ქ. ბათუმში მოხდა, «იმპერიალის» სასტუმროში, სადაც თავ. გარდენ გურიელსა და თავ. მელიქიშვილს ლაპარაკი მოუვიდათ; ამ ლაპარაკის დროს გიგინეიშვილი მიეშველა გურიელს, რომლის მოკვლაც უნდოდა თ. მელიქიშვილს, რისთვისაც ამ უკანასკნელმა უბაში ესროლა რევოლვერი; გიგინეიშვილმა რევოლვერი ესროლა მელიქიშვილს და იქვე მოჰკლა. ქუთაისის ოლქის სასამართლომ გიგინეიშვილი გაამართლა, რადგან იცავდა თ. გურიელს. პალატამ, სადაც ეს საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებულმა გადმოიტანა, დამნაშავედ სცნო გიგინეიშვილი, შესცვალა ოლქის სასამართლოს განაჩენი და გადაუწყვიტა ბრალდებულს 4 თვით საპყრობილეში დაპატიმრება და საეკკლესიო მონანიება. „ივერია“.

---

## ტფილისის საბჭო

გამგეობის წევრმა შესტაკოვმა მოახსენა საბჭოს დადგენილება საგუბერნიო კრებისა, რომელიც შეეხება ტრამვაის მოწყობაზე დახარჯულ 68701 მან. ანგარიშში შეტანას. ქალაქის მოურავმა ჰკითხა საბჭოს, როგორ მოვიქცეთ შესახებ იმისა, რომ ანგარიში არ იქმნა დამტკიცებულიო. საბჭომ ერთხმად დაადგინა საჩივარი იქმნას წარდგენილი სენატში.

შემდეგ გამგეობის წევრმა ხოსროევმა მოახსენა საბჭოს მეეტლეთა ნიხრის შეცვლის შესახებ. ბ. ქალანთარი ამბობს, რომ არ არის საკმარისი და პატივსადები მიზეზები ნიხრის მომატებისათვის. საკვების ფასი შედარებით წინა წლების ფასებთან ბევრით არ განსხვავდება. სჯობია მოვუცადოთ კომისიის აზრს და უმნიშვნელო გარემოებისა გამო არ მოვუმატოთ ნიხრი.

ხმ. ბაბოვი ეთანხმება ხმ. ქალანთარის აზრს და დასძენს, რომ მალე საკვები გაიაფდება, ასე რომ სრულიად უადგილოა მომატება ნიხრისაო.

ყორღანოვი ამბობს, რომ ცნობები ნიხრის მოსამატებლად არას გვიმტკიცებს, მხოლოდ რეზინ გადაკრულ ეტლზე ეხარჯებათ მეტი,—წელიწადში 200 მან.

ქოჩორიანცი. ჩვენი ქუჩები ყოველნაირ ეტლისათვის საძაგლებია. ამათ გაუმჯობესობაზე უნდა ვიფიქროთ და არა ნიხრის მომატებაზე, მით უფრო; რომ საკვების სიძვირეზე ლაპარაკი დაგვიანეთ, რადგანაც ახლა იაფდება კიდეც.

ბაბოვი. რამდენად თვლებზე რეზინების გადაკვრა მეტი ჯდება, იმდენად ეტლებიც სუმბუქდება და ცხენებს შეღავათი ეძლევათ. გარდა ამისა ყოველგან აღძრეს კითხვა შესახებ იმისა, რომ რეზინებ გადაკრული ეტლები ტალახში საშინლად სწუწავს სახლებსაც და ხალხსაც, ასე რომ ტალახში უნდა აღვუკრძალოთ ამისთანა ეტლებს სიარული, ანუ ისე მოაწყონ, როგორც მოსკოვშია.

საბჭომ ხმის უმეტესობით უარჰყო გამგეობის დადგენილება და დაავალა კომისიას დააჩქაროს წარუდგენა მოხსენებისა ამ საგნის შესახებაც.

შემდეგ საბჭოს მოხსენდა თხოვნა ბეკ-ავაქოვისა, ავეტისოვისა და სხვ., რომელთაც კუკიის ხიდ ზევიდან იჯარით აქვთ აღებული საწისქვილე ადგილები. მოიჯარადრენი თხოულობენ იჯარის დაკლებას და პირობების შეკვრას.

საბჭომ გარდასწყვიტა ერთის წლით შეჰკრას პირობა. რაც შეეხება იმას, შეიძლება შემდეგშიაც დატოვებულ იქმნან იქ წისქვილები, ეს კითხვა გადასდეს მანამდე, სანამ ტეხნიკები გამოსთქვამენ თავიანთ აზრს. გამგეობის წევრმა ხოსროევმა წაუკითხა საბჭოს მოხსენება, რომელიც შეეხება გამგეობის მიერ ანგარიშების შედგენას.

კ. ალიხანოვი ამბობს, რომ იმ ანგარიშებში ისიც უნდა იყოს მოხსენებული—თუ რომელი დადგენილება საბჭოსი და რა მიზეზით არ იქმნა სისრულეში მოყვანილიო.

ამას თ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი უმატებს, რომ ახლა თავის დროზე მოხსენდება, როგორც სჩანს, ფინანსიური ანგარიში გამგეობისა და კარგი იქმნება საერთო ანგარიშში ნათქვამი იყოს თუ სარევიზიო კომისიის რომელი შენიშვნები არ იქმნა აღსრულებულიო.

ა. ს. ბაბოვი ამბობს, რომ საერთო ანგარიშების შესადგენად სტატისტიკური ბიუროც არის საჭირო; მაშინ გამგეობის ანგარიში უფრო სავსე იქმნება ცნობებითო.

ა. არღუთინსკი-დოლგორუკი, ვრცელი მოხსენება იყო წარმოდგენილი შესახებ სტატისტიკურ ბიუროს დაარსებისა, მაგრამ თქვენ უარ-ჰყავით.

ა. ბაბოვი. ხელ-მეორედ წარმოგვიდგინეთ.

თ. ბებუთოვი. გამგეობას ბევრი საქმე აქვს. რა ნაირად აასრულებს ამ ახალს დავალებას?

გამგეობის წევრი თავ. ე. ნ. ჩერქეზიშვილი ... საზოგადო ანგარიშის შედგენა ახლა ძნელია, რადგან ამისათვის დრო არის საჭირო და ხალხი, რომ საქმეებიდან ამოკრიბონ მასალა. მომავალ წლიდან კი შეიძლება.

ეს წინადადება მიღებულ იქმნა.

გარდა სხვა უმნიშვნელო საქმეებისა განხილულ იქმნა კითხვა ნავთლუღის ქალაქის ადგილების იჯარით გაცემის შესახებ.

კ. ალიხანოვი. ჩემის აზრით, ეს კითხვა უნდა უარ-ვჰყოთ, რადგან გამგეობა სრულიად არა ცდილობს, თანახმად საბჭოს დადგენილებისა, ზედ-მიწევნით გაგვაცნოს საკითხი საგანი. არა ერთხელ იყო გარდაწყვეტილი, რომ როდესაც მოხსენება შეეხება ამიწის გაქირავებას და სხვ. უნდა დიდ დაფაზედ დაახატვინოთ ადგილთა მდებარეობა, რომ ჩვენც დავინახოთ. ზოგიერთი სხვა ხმოსნებიც ეთანხმებიან ამ აზრს. შემდეგ მაინც შეუდგნენ კითხვის განხილვას. გამგეობის აზრით, დრაგუნის პოლკის კაზარმების პირდაპირ ქალაქია ადგილი დაიყოფება ნაჭრებად. ქუჩებისათვის და მოედნებისა ვის ადგილებია დატოვებული.

ხმ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, კ. ალიხანოვი ¢ ქოჩორიანცი იმ აზრისანი არიან, რომ ქუჩები იქ ქვით უნდა დაიფინოს, ფარნები უნდა დაიდგას და მაშინ ყოველ ადგილს დაედოს გადასახადი ფასი. თუ ამ ფასს არ მისცემენ, მაშინ დაინიშნოს ვაჭრობა. გამგეობის წევრი ა. არღუთინსკი უპასუხებს, რომ გევმაზე ქუჩებიც არის და მეიდნებიც. განათებაც შეიძლება, წყალის გაყვანაც. მხოლოდ ქუჩების ქვით დაფენას თუ ვუცადეთ, დიდი დრო გაივლის მანამ ამას მოვახერხებთ. ქალაქის ადგილები, რომლებიც იჯარით არიან გაცემულნი, სულ დაუფენელია. წევრის აზრით, სჯობია ჯერ გაიცეს ადგილები იჯარით და შემდეგ დაიფინოს ქუჩები ქვით. მღ. ცინცაძე ნათქვამს უმატებს, რომ ქალაქის განაპირებში ადგილები უნდა დასტოვოთ მართლმადიდებელ ეკკლესიებისათვისაო.

გამგეობის წევრმა თ. ჩერქეზიშვილმა მიაპყრო საბჭოს ყურადღება იმ გარემოებას, რომ ქალაქის განაპირა ადგილებს ვერ ვუვლით საჭიროებისამებრ და უყურადღებოდ არიან დატოვებულნი. ჩემის აზრით, იმ ადგილების შემოსავალი იქაურ ქუჩების მოკირწყვლას უნდა მოვანდომოთო.

საბჭომ დაადგინა მიწვეულ იქმნან მცოდნე ხმოსნები იჯარით გასაცემ ადგილებზე ფასების და-

სადებად და დაიბეჭდოს შემდეგი კრებისათვის გეგმა გასაცემ ადგილისა.

---

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

**29 იანვარი *)**

**პეტერბურგი** 29 იანვარს დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე თავჯდომარეობდა რუსეთის საიმპერატორო ცეცხლის მქრობელ საზოგადოების სხდომას ამ ფაქტის აღსანიშნელად გარდაწყდა დაარსდეს პრემია მის უმაღლესობის სახელზე.

29 იანვარს ხელმწიფა იმპერატრიცამ დაათვალიერა ქალთა პატრიოტულ საზოგადოების სკოლა.

**სპრინგფილდი.** 28 იანვარს ბრიტანელთ ჯარები უკანვე გადვიდენ მდ. ტუგელზე მის შემდეგ, რაც გენერლებმა გარდასწყვიტეს, რომ მტრის საშინელი სროლა შეუძლებელად ჰყოფს ჯარების წინ სვლას.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ს ატყობინებენ დეპეშით ლორენცო-მარკეზიდან 27 იანვარს, რომ პორტუგალიის სადამოვნო მმართველობის ინგამბაკეს ხელში ჩავარდნია დიდძალი იარაღი და სამხედრო სურსათი.

კიმბერლეიდან იტყობინებიან, რომ ბურები გუშინ მთელი დღის განმავლობაში ყუმბარებს ესროდენ ქალაქს. საღამოს ინგლისელთა ზარბაზნებმა ჩააჩუმეს ბურების არტილერია. დაჭრილია სამი კაცი.

**მოდდერ-რივერი.** მაკდონალდის და ბაბინგტონის შეერთებული ჯარები დაბრუნდენ აქ; თუმცა ვერ გადვიდენ მდინარის მეორე ნაპირზე, მაგრამ მტერს მაინც დააწევინეს უკან.

**ქაირი.** ევროპიულ გაზეთებში დაბეჭდილი ცნობები სუდანის ჯარების აჯანყების შესახებ დამყარებულნი არიან დამახინჯებულ ფაქტებზე. არც ომდურმანში, არც სხვა ადგილას არ მომხდარა ისეთი რამ, რაც აჯანყებად ჩაითვლებოდეს. საქმე ასე იყო: ორი ბატალიონი მკვიდრთა ჯარებისა სცლიდა იარაღს. როდესაც ბრძანება გაიცა დააბრუნეთ იარაღიო, ერთმა ამ ბატალიონთაგანმა მაშინვე აღასრულა ბრძანება; მეორე ბატალიონის საომარი იარაღიკი ეხლაა გამოგზავნილი აქ. ეგვიპტის ჯარების დისციპლინა ამით სრულიადაც არ დარღვეულა.

---

*) ეს დეპეშები მოვიდა 1 თებერვალს დილით.

**ბერლინი.** „ლოკალ ანცაიგერის“ საგანგებო კორრესპონდენტი იტყობინება შეფფილდიდან, რომ ჯარების დათვალიერების დროს, 414 ირლანდიელ მსროლელთაგან 176 კაცმა ომში წასვლის უარი განაცხადა.

**სპრინგფილდი.** მდ. ტუგელზე ჩრდილოეთით მდებარე პოზიცია ინგლისელებმა ვერ შეირჩინეს. მშველელი ჯარი, რომელიც გავიდა მდ. ტუგელში, ძალიან ახლოს მივიდა მტრის სიმაგრეებთან, მაგრამ ბურების პოზიცია ბროკფონტენის გორაკებზე, ინგლისელ ჯარებს მარცხნივ, ისეთი ძლიერი იყო, რომ ინგლისელებმა წინ ვეღარ წაიწიეს, რადგანაც მათ მოელოდათ საშინელი დამარცხება. მტერი განუწყვეტლივ ესროდა ზარბაზნებს ინგლისელების ჯარების. „გრძელი ტომის“ ზოგიერთი ყუმბარები ცვივოდა შუაგულ ჯარში; ოთხმა ამ ყუმბარათაგანმა იფეთქა ზვარტსკოპზე, მაგრამ ბურების ზარბაზნების ყუმბარებმა ვერ უწიეს ინგლისელების ზარბაზნებს. სროლა საშინელი იყო. მთელი არტილერია ინგლისელებისა მოქმედებდა, მაგრამ ბურების ზარბაზნებს ვერაფერი დააკლო. ბურები განუწყვეტლივ ესროდენ ინგლისელების ქვეითა ჯარს ნორდენფელდის ზარბაზნებიდან, ოთხშაბათს ბრიტანიის გენერალმა გარდასწყვიტა დაეწია უკან და დაეტოვებინა ვალ-კრანცი. ბურების ზარბაზნების სროლა ისეთი ძლიერი იყო, რომ წინ წასვლა შეუძლებელი შეიქმნა.

**ლონდონი.** რენსბურგიდან 28 იანვარს იტყობინებიან: შემცდარია ის ხმები, რომ ვითომც ინგლისელი ჯარები გარს შემოერტყნენ ბურებს კოლსბერგთან, ბურები გამაგრებულნი არიან ქალაქის ჩრდილოეთით და უპყრიათ ყველა გზები ორანჟეს რესპუბლიკისა. ბურები მეტად საშიშ მდგომარეობაშია ინგლისის ჯარების მარცხენა მხარეს. გუშინ 50 ცხენოსანი ავსტრალიელი ჯარის კაცი წააწყდა ბურების დიდს ჯარს და იძულებული შეიქმნა უკან გამოქცეულიყო, რადგანაც თოფები დაუშინეს.

**31 იანვარი**

**რენსბურგი.** ბურები შემოერტყენ გუშინ ავსტრალიელთა სადარაჯო ჯარს; ზოგმა თავს უშველა, ზოგი დაჭრილია და 12 ტყვედ იქმნა წაყვანილი.

**პარიზი.** პარლამენტს წარუდგინა კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ დასჯილ იქმნან მღვდლები, რომელნიც საჯაროდ გაჰკიცხავენ მთავრობის მოქმედებას, —15 დღიდან ორ წლამდე დაპატიმრებით.

**ლონდონი** „დეილი მეილ“-ს პიტერმარიცბურგიდან ატყობინებენ 30 იანვარს, რომ ბურებმა დაიჭირეს ფერმა ბლოი, რომელიც იმყოფება მდ. ტუგელის აქეთა ნაპირზე და რომლამდინაც ერთის საათის განმავლობაში შეიძლება ჩიველეიდან მისვლა. სახლში საავადმყოფო მოათავსეს. ამ ფერმის გარშემო არიან მთები, რომელნიც დაჰყურებენ მდ. ტუგელზე გადადებულ ორსავე ხიდს.

ქაირიდან იმავე გაზეთს ატყობინებენ სუდანელ ჯარების ამბოხების შესახებ. მთავრობა თუმცა სდუმს ამის შესახებ, მაგრამ, როგორც სჩანს, საქმე ძალიან ცუდათ არის. ეგვიპტელ ოფიცრებს ბრალი ედებათ აჯანყების მოხდენაში.

„დეილი ტელეგრაფ“-ს ატყობინებენ 30 იანვარს ფრერიდან, რომ იქ ცვლილება არა მომხდარა-რა. ინგლისელი ჯარის კაცები მხნედ არიან არიან; ცხელა; დაჭრილები მალე რჩებიან, რადგანაც მსუბუქი ჭრილობები აქვთ.

**პეტერბურგის ბირჟა.** 28 იანვარი

| | მყიდველ-თაგან. | გამყიდველ-თაგან. | გაყიდულ-თაგან. |
|---|---|---|---|
| | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — | — „ | 220. |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | 91¾ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 100 „ | | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 97½ | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | 99 „ | — „ |
| 4½% ამავე ბანკისა | — „ | 94 „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 97½ | — „ | — „ |
| 4½% იმავე საზოგადოებისა . . . | 90 „ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგანი სესხის მომგებიანი ბილეთი . | 299 | — „ | — „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . . | — „ | — ,, | 285 „ |

დრ. რედაქტ. **ალ. ჭყონია.**

---

# გამოსადეგი ცნობანი

**საკალენდარო ცნობები**

**ორშაბათი,** I თებერვალი; ახალი სტილით 13 თებერვალი. წლის დასრულებამდე დარჩა 334 დღე. მთვარის მე-16 დღე, წინა დღესასწაული მირქმისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ხსენება წმ. მოწ. ტრიფონისა და პეტრესი.

**ხუთშაბათი,** 3 თებერვალი ახალი სტილით 15 თებერვალი; წლის დასრულებამდე დარჩა 332 დღე. მთვარის მე 18 დღე. ხსენება წმ. სიმონ ღვთის მირმქმელისა და ანანა წინასწარმეტყველისა. აზარიასი და მოწ. ფლასასი. სტესი.

შემდეგი უქმე დღე—18 თებერვალს, ყველიერი.

---

**ნიხრი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 გ. | — 9 კ. | |
| სუკი . . . . . | 1 „ | —15 კ. | |
| „ ცხვრისა . . | „ „ | — 8 კ. | |
| „ კამეჩისა . . | „ „ | — 5 კ. | |
| „ ღორისა . . | „ „ | — 8 კ. | |
| „ ღორის ბარკალი სალორეთ. . | 1 „ | —10 კ. | |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს ის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | |
|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარისხ. | 1 გ. | 5 „ კ. |
| „ „ | II | „ „ | 3½ |
| „ „ | III | „ „ | 3 „ |
| იგივე თორნისა | I | „ „ | 5 „ |
| „ „ | II | „ „ | 4 „ |
| „ „ | III | „ „ | 3½ „ |
| ლავაში ჯვარის მამ. | I | „ „ | 6 „ |
| „ „ | II | „ „ | 4 „ |

---

**ტფილისის ბაზრები:**

| გაიყიდა მეიდნებზე: | | მ. | კ. | ვოკზალზე: მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკეთ. | ფუთი | მ. | კ. | მ. | კ. |
| | 1 | 1 | 25 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი . . | 1 | 1 | 10 | 1 | 5 |
| ქერი . . . . . | 1 | — | 85 | — | 92 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 80 | — | — |
| ფქვილი ხოფლისა . | 1 | 1 | 20 | — | — |
| „ უკრო მდარე | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო . . . | 1 | — | 65 | — | — |
| კართოფილი. . . | 1 | — | 70 | — | — |
| ხახვი. . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ბზე . . . . . | 1 | — | 20 | — | — |

შავი რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში (36 მან.) მ., შავი ნარევი 32 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, ცხვარი თათრული 3 80 კ.-დამ 5 მ. 00 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 9 მ.-დამ 10 მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური, საკლავი 30 მ.-დამ 48 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,— კამეჩი — მ.-მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ ££4 მან. შესაბმელი —

---

**რუსეთის ბაზრები**

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. | 25 კ. | № 4—7 ,, | 25 ,, |
| № 1—8 ,, | 50 ,, | № 5—7 ,, | — ,, |
| № 2—8 ,, | — ,, | № 6—6 ,, | 75 ,, |
| № 3—7 ,, | 50 ,, | № 7—6 ,, | 25 ,, |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 46 კ. 47 კ. ქერი როსტოვში 63 კ. 64 კ.-მდე. ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე. მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 65 კ.
„ ფშხვნილი ,, 4 ,, 70 ,,

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 50 კ—4 მ. 10 კ., იგივე გარეცხილი 8 მ. 35 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მამ.-60დე.

## საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

—

**ქალაქის სამკურნალო,** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

—

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე-ექიმს მირაქოვი.

—

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

—

**ხარფუხისა,** ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

—

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

—

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის,** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

—

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

—

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

—

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეორე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
დიდუბე, სახლი გოლდლიუსტისა.

—

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

სახალხო მატარებელი № 1 ბაქოდან თბილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ. თბილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ. თბილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დიძ., ბათუმში მიდის 8 ს. 32 სალ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან თბილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ. თბილისში მოდის საღამოს 6 ს. 28 წ.; თბილისიდან ბათუმში გადის სალამ. 7 ს. 32 წუთ. ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

სახალხო მატარებელი № 2 ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ დილ., თბილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ., თბილისიდან ბაქოში გადის სალ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

საფოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 სათ. 05 წ. სალ., თბილისში მოდის 9 ს. 45 წ. დილით., თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ. ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 თბილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ. ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. სალ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან თბილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ. თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი ღამის 5 ს. 03 წ., მეორე—დღის 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ. ფოთში მიდის პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე—9 ს. 49 წ. სალ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—სალ. 9 ს. 48 წ. სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

**რიონიდგან** ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ. საღამოს 6 30. დილის 8 ს. 45 და 10 საათ.

**ქუთაისიდგან** რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ., დღისით 12 ს. 30 წ.. 3. 50 წ., და 5. 30 წ.

**შორაპნიდან** ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ. მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

**ჭიათურაში** მიდის პირველი—დილის ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

**ჭიათურიდგან** შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 ს. 40 წ. დღისა, მეორე საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის პირველი დღის 4 ს. 31 წ. მეორე—ღამის 2 ს. 05 წ.

**მიხაილოვიდგან** სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ. მეორე დილის 6 ს. 25 წ. მესამე, დღის 1. 05 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**სურამიდგან** მიხაილოვში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5. 08 წ. მეორე დილის 11. 48 წ. მესამე დღის 4. 40 წ. მეოთხე საღამოს 10. 50 წ.

მიხაილოვში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**ქუთაისიდგან** ტყიბულაში გადის ღამის 6 ს. 50. ტყიბულაში ჩადის 10 ს. დილისა.

ტყიბულიდგან ქუთაისში გადის დღისით 1 ს. 30 წ. ქუთაისში მიდის 6 ს. 30 წ. დღისით.

ომნიბუსების მიმოსვლა თბილისსა და ვლადიკავკასის შორის დაწყებული 1 ნოემბერს 1899 წ. ვიდრე 1 მაისამდის 1900 წ.

**თბილისიდან** ხუთ საჯდომიანი კარეტა გადის დილის 8 საათზე (მლეთში ღამის თევით) და ვლადიკავკასში ჩადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ექვს საჯდომიანი ომნიბუსი გადის ნაშუადღევის 3 საათზე და ვლადიკავკაზში ჩადის მეორე დღეს საღამოს 5 ს. 35 წ.

**ვლადიკავკასიდგან:** ხუთ საჯდომიანი კარეტა გამოდის დილის 8 საათზე (ღამის თევით მლეთში) და ჩამოდის ტფილისში მეორე დღეს საღამოს 6 ს. 40 წ., და ექვს საჯდომიანი ომნიბუსი გამოდის საღამოს 8 საათზე და ტფილისში ჩამოდის მეორე დღეს საღამოს 9 წ. ს. 30

## განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,** რომ მის თანადასწრებით, 1900 წლის 4 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქალაქის სასაჭოების გადაკეთების სამუშაოთა იჯარით გაცემისათვის. სასაჭოებში უნდა შეიცვალოს ხის სვეტები ქვის სვეტებით, უნდა განახლებულ და შეკეთებულ იქმნან ხის კედლები, მოკირწყლულ იქმნენ რიყის ქვით, ხის კედლებზე გაკრული უნდა იქმნას ცინკი; სულ სამუშაოთა ღირებულება იქმნება 3385 მანეთისა.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან გასინჯოს პირობები გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. ნ. 3—3

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,** რომ მის თანადასწრებით 1900 წლის 4 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ანდრეევის ქუჩის მოკირწყვლის იჯარით გაცემისათვის. ეს ქუჩა უნდა მოიკირწყლოს რკინის გზის საავადმყოფოდან ტბილისის დამოკის სადგომამდე, სივრცით 985 ოთხ კუთხი საჟენი; სამუშაოთა ღირებულება 3940 მანეთი. ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლია გასინჯოს პირობები გამგეობის აღმაშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. ნ. 3—3


**Открыта подписка на 1900 годъ**

на Литературный, Научный и Политическій ежемѣсячный журналъ

IV Годъ изданія. **„ЖИЗНЬ“.** IV годъ изданія.

**Подписная цѣна 7 рублей въ годъ**

съ доставкой и пересылкой.

Журналъ выходитъ ежемѣсячно книжками отъ 25 до 30 печатныхъ листовъ. Въ каждой книжкѣ помѣщаются иллюстраціи, отпечатанныя на отдѣльныхъ листахъ слоновой бумаги.

**Въ журналѣ ближайшее участіе принимаетъ М. ГОРЬКІЙ.**

Въ теченіе 1900 года предполагается помѣстить, между прочимъ, слѣдующія беллетристическія произведенія: Больная кровь. Романъ К. С. Баранцевича. Мужикъ. Повѣсть М. Горькаго.—Дачники. Очерки Его же.—Рядъ разсказовъ Его же.—Изъ лѣтнихъ встрѣчъ. Очерки В. Вересаева.—Рядъ разсказовъ Е. Чирикова.—Повѣсти В. Л. Сѣрошевскаго и Ант. П. Чехова—Сумерки духа. Романъ З. Гиппіусъ.—Воскресники. повѣсть В. Я. Муринова.—Контрасты. Романъ изъ лондонской жизни. Р. Уайтинга.—Броженіе. Романъ изъ парижской жизни Эстонье и друг.

Кромѣ того въ беллетристическомъ отдѣлѣ обѣщали свое участіе М. Н. Альбовъ, К. Д. Бальмонтъ, И. А. Бунинъ, А. А. Вербицкая, Л. Я. Гуревичъ, К. Ельцова, А. А. Кравдіевская, А. А. Луговой, Д. С. Мережковскій, А. П. Мертваго, Вас. Ив. Немировичъ-Данченко, Н. А. Танъ, Н. Д. Телешовъ, Н. И. Тимковскій, В. Я. Свѣтловъ, Алекс. С. Шабельская и др.

Въ отдѣлѣ критики и исторіи литературы принимаютъ ближайшее участіе Д. Н. Овсянико-Куликовскій и Е. А. Соловьевъ.

Въ научномъ отдѣлѣ будетъ помѣщенъ рядъ статей *русскихъ* и *иностранныхъ* ученыхъ по естествознанію, философіи, исторіи, обществовѣдѣнію и т. д. Въ этомъ отдѣлѣ редакція стремится ознакомить читателей съ новѣйшими научными теченіями.

Ставя одной изъ своихъ задачъ популяризацію искусства, редакція помѣститъ въ будущемъ году на страницахъ „Жизни“ обстоятельныя характеристики Микель Анжело, Леонардо-да-Винчи и Рафаэля со множествомъ иллюстрацій, клише для которыхъ приготовляются за-границей. Въ художественномъ отдѣлѣ ближайшее участіе принимаетъ П. Н. Ге.

Постоянные отдѣлы: Очерки современной русской литературы Андреевича.—Библіографія (обстоятельные отзывы о русскихъ и иностранныхъ книгахъ).—Изъ области знанія и жизни.—На темы дня Д. Д. Протопопова.—Хроника внутренней жизни.—Провинціальныя картинки Е. Чирикова.—Иностранное обозрѣніе І. П.—Новости иностранной литературы Л. Гуревичъ.—Письма изъ-за границы: изъ Франціи Е. Смирнова, изъ Англіи Д. Сатурина, изъ Бельгіи Г. Лагорделля, изъ Германіи А. Коврова, изъ Италіи Артура Лабріола, изъ Австріи П. Звѣздича, изъ Сѣверо-Ам. Соединенныхъ Штатовъ И. Гуревича, съ Балканскаго полуострова Діонисія Григорьева и т. д.—Письма изъ провинціи. Годовые подписчики получатъ въ видѣ безплатнаго приложенія переводный романъ, напечатанный отдѣльной книгой.

Для подписывающихся черезъ главную контору допускается разсрочка отъ 1 рубля въ мѣсяцъ.

Главная контора и редакція: С.-Петербургъ, Знамен. № 20.

Отдѣленіе конторы въ Москвѣ: Большая никитская, д. № 23, книжный складъ О. Н. ПОПОВОЙ.

Редакторъ-издатель *М. С. Ермолаевъ.*

С.-Петербургъ, Знаменская, д. № 20.

Въ каждой книгѣ помѣщаются иллюстраціи и портреты на отдѣльныхъ листахъ слоновой или мѣловой бумаги.

Допускается разсрочка отъ одного рубля въ мѣсяцъ.

(ვ. 5—3)


გამომცემელი გრ. ჭუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Февраля, 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბს. ვანქის დიდი ქუჩა, № 27